499.962-1
ს-334

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან სოსოს ასული საღინაძე

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზები

(XX საუკუნის დასაწყისის ჟუთაისის პრესის მასალების მიხედვით)

10.02.01 — ქართველური ენები

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. მელიქიშვილი

საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ალ. ღლონტი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. გოგოლაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ღვინაძე

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის Р 10.02. С №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 1997 წლის — 25 ივნისს 15 საათზე.

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ავტორეფერატი დაგზავნილია 1997 წლის 15 მაისს.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /გ. წიბახაშვილი/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

-1542-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობას განაპირობებს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა ენის განვითარების ტენდენციების დადგენისა და ნორმირების თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ტენდენციების ჩვენება XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით.

წყაროები: გაზეთები: „შინაური საქმეები“ (1908-1912წწ.), „იმერეთი“ (1912წ.), „ფონი“ (1909-1911წწ.), ჟურნალი „განთიადი“ (1915წ.).

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სალიტერატურო ენის ისტორიის გათვალისწინებით ნორმების პრინციპების ჩამოყალიბება და დადგენა განსაზღვრავს კვლევის თეორიულ საფუძველს.

ნაშრომი ასახავს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების კონკრეტულ პერიოდს, რასაც პრაქტიკული ღირებულება აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.

ნაშრომის სიახლე: ნაშრომში პირველადაა შესწავლილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი პერიოდის (XX საუკუნის დასაწყისის) ქუთაისის პრესის ენა და ის პროცესები, რამაც თავი იჩინა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზაზე.

ნაშრომის მოცულობა და აგებულება: ნაშრომი შედგება 150 ნაბეჭდი გვერდისაგან, შეიცავს შესავალს, სამ ნაწილს და ძირითად დებულებებსა და დასკვნებს. ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას, XII და XIII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიებს (1991 წ. ქ. გორი და 1993 წ. ქ. ქუთაისი), სტატიებად დაიბეჭდა თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში (თბ., 1989 წ.), ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბეში (№5,1996წ.). კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო წიგნს „ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები“ (ქუთ., 1995წ.).